

პაატა ბუხრაშვილი¹, ფელიქს ბლოხერი², სიმონე არნჰოლდი³,
 შორენა დავითაშვილი⁴, ზურაბ ცქვიტინიძე⁵

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და
 ჰალლეს მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის მიერ,
 დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში,
 2019 წელს ჩატარებული ერთობლივი არქეოლოგიური
 სამუშაოების მოკლე ანგარიში**

სამეცნიერო საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ უკვე მესამე წელია, რაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიზუალური ანთროპოლოგიისა და ლოკალური ისტორიის კვლევის ცენტრი, საუნივერსიტეტო სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი პროექტის – „კავკასიაში სახელმწიფოებრიობის სათავეებთან“ ფარგლებში, ჰალლეს (გერმანია) მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტთან ერთად, კახეთის მხარეში, ივრის ზეგანზე აწარმოებს არქეოლოგიურ გათხრით სამუშაოებს.

აღნიშნული სამუშაოების მიზანია, ინტერდისციპლინარული (რაც თავის მხრივ გულისხმობს გათხრით სავსე სამუშაოებს, საისტორიო და წყაროთმცოდნეობით ძიებებს, პალეოინფრასტრუქტურის კვლევებს და სხვ.) კუთხით იქნას შესწავლილი ის წინაპირობები, რომლებმაც განსაზღვრეს კავკასიაში, გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში (ქრისტემდე XII-X ს.ს-ში), წინარე-სახელმწიფოებრივი გაერთიანებების ჩამოყალიბება.

მიმდინარე საანგარიშო 2019 წელს, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, გაერთიანებულმა ქართულ-გერმანულმა არქეოლოგიურ ექსპედიციამ, რომლის შემადგენლობაც ქართველი და გერმანელი პროფესორებისა და სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული, და რომელიც დაფინანსდა გერდა ჰენკელისა* და გერმანიის აღმოსავლური საზოგადოების** მიერ, გათხრითი სამუშაოები ჩაატარა:

¹ დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

² დოქტორი, პროფესორი, ჰალლეს მარტინ-ლუთერის უნივერსიტეტი

³ დოქტორი, ჰალლეს მარტინ-ლუთერის უნივერსიტეტი

⁴ მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

⁵ მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

* <https://www.gerda-henkel-stiftung.de/>

** <http://www.orient-gesellschaft.de/>

1. სოფ. სამრეკლოს მახლობლად მდებარე ე. წ. „საყარაულო სერზე“ და
2. მთა „ნაზარლებზე“ წინა წლებში გამოვლენილი სამლოცველოს შესასწავლად.

„სამრეკლო“-ს მრავალფენიანი ნამოსახლარი

ქალაქ დედოფლისწყაროს სამხრეთით, დაახლოებით 1,5 კილომეტრის მოშორებით მდებარე ბორცვზე (სურ. 1, ტაბ. 1), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „საყარაულო სერს“ უწოდებს და რომელიც სამცხიერო ლიტერატურაში „სამრეკლო“-ს სახელწოდებითაა ცნობილი [Furtwängler et al. 2006], საანგარიშო წლის 30 ივლისიდან 17 აგვისტოს ჩათვლით, მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები (რაზმის ხელ-ბი: პროფ. პაატა ბუხრაშვილი და დოქტორი სიმონე არნჰოლდი). სამკვირიანი გათხრების დასრულების შემდეგ ერთი კვირა დაეთმო კამერალურ სამუშაოებს.




სურ. 1: სამრეკლო, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, ხედი სამხრეთიდან. ბორცვის ცენტრში 2019 წლის თხრილები (ფოტო: ს. არნჰოლდი).

თავდაპირველად, გათხრითი სამუშაოების დაწყებამდე, ბორცვის თხემზე 120 x 80 მ-ის ფართობზე, ბავარიის ძეგლთა დაცვის სახელმწიფო სამსახურის თანამშრომლების მიერ, პროფ. იორგ ფაზბინდერის ხელმძღვანელობით, ჩატარდა გეომაგნიტური პროსპექცია; რის შედეგადაც, მთელს აღნიშნულ ფართობზე გამოვლინდა მთელი რიგი სახის სტრუქტურათა ერთობლიობანი და ანომალიათა კონცენტრაციები. ამ მხრივ, ყველაზე საგულისხმო აღმოჩნდა ბორცვის სამხრეთ ფერდობზე დაფიქსირებული ოთხკუთხა სტრუქტურა და ფორმათა ანომალიების კონცენტრაცია (სურ. 2 a-c).

სამკვირიანი არქეოლოგიური სამუშაოების პერიოდში, გეოფიზიკური პროსპექციის შედეგებზე დაყრდნობით, ბორცვის

აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე გაიჭრა 8 თხრილი (თითოეულის ზომა – 9 X 4.5 მ). თხრილებში, პროფილის დაფიქსირებისა და მიწის უსაფრთხო გატანას მიზნით დატოვებული იქნა I მ-ის სიგანის უღლები. მთლიანობაში, ზედაპირიდან 30 სმ სიღრმეზე (როგორც ამას გვავალდებულებდა ნაკვეთის კერძო მფლობელის ნოტარიალურად დადასტურებული თანხმობა), გაიწმინდა 324 მ² ფართობი.

მიწის ზედაპირის მოხსნისთანავე გამოიკვეთა სამშენებლო კონსტრუქციის კონტურები (სურ. 3) და გაირკვა, რომ საქმე გვექონდა ოთხკუთხა შენობის მყარად ნაგებ საძირკველთან, რომლის მასიური ქვებით ნაგები ორმაგი კედელი ამოვსებული იყო მცირე ზომის ხურდა ქვებით. რადგანაც, ნაგებობის შიდა სივრცის ტიხრები არ დაფიქსირებულა, სავარაუდოა, რომ აღნიშნული შენობა თავდაპირველი სახითვე უნდა ყოფილიყო დარბაზული ნაგებობა. მის ინტერიერში, გრძივ ღერძზე დადასტურდა ორი ბრტყელი ფილა, რომლებიც შესაძლებელია, თავის დროს, სვეტების ბაზებს ან გადახურვის საყრდენ დედაბოძების ქვის ბალიშებს წარმოადგენდა (იხ. ტაბ. II, III). შენობის შიდა და სამხრეთ არეალში დაფიქსირდა კარგად შემონახული თიხის ნალესობის ფრაგმენტები. მთლიანობაში 37 კგ. შელესილობის ასე კარგად შემონახვა მისი გამოწვით უნდა აიხსნას, რაც გვაგვარაუდებინებს, რომ შენობა, თავის დროზე, ალბათ ხანძარს გაუნადგურებია.



სურ. 2: გეოფიზიკური პროსპექციის შედეგების ვიზუალური გამოსახულების ფრაგმენტი (ი. ფასბინდერ, ს. არნჰოლდის მიერ მოდიფიცირებული).

აღნიშნული ნაგებობის სამხრეთით, დაახლოებით 12 მეტრის მოშორებით დაფიქსირდა 3 სამეურნეო ორმო, რომლებიც ჭრილის გრძივ ლერძზეა განალგებული და გეოფიზიკური პროსპექციის შედეგად შენიშნულ ანომალიებს ემთხვევა (სურ. 2 ბ). წინასწარ დადგენილი შეზღუდვის გამო, რომელიც მხოლოდ 30 სმ-ით დაღრმავების უფლებას გვაძლევდა, შეუძლებელი იყო მათი სრულყოფილად შესწავლა. ორმოების ზედაპირიდან მოძიებული კერამიკის ფრაგმენტები და ძვლები მიანიშნებენ ორმოების შიგთავსის მრავალფეროვნებაზე.

მართალია, ორმოებიდან მოპოვებული მცირეოდენი მასალა ზედმიწევნითი დათარიღებისთვის არაა საკმარისი, მაგრამ წინასწარი მონაცემებით შეგვიძლია მათი ნაგებობის მასალებთან სინქრონიზირება და მაღალი ალბათობით, გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდით დათარიღება.

აღნიშვნის ღირსია, აგრეთვე, ზემოთ ნახსენები ორმოებიდან სამხრეთით, 11 მეტრის მანძილზე, აღმოსავლეთ-დასავლეთ ლერძზე გამოვლენილი გრძივი ქვაყრილი ზვინულიც, რომელიც თავდაპირველადვე ნათლად იკითხებოდა ჩატარებულ გეოფიზიკურ პროსპექციაში (სურ. 2 ც). აღნიშნული ზვინული ზღუდე-კედელი, რომლის გვერდებშიც ქვათანყოფის სიმკვრივე თანდათან კლებულობდა, მცირე და მაქსიმუმ ერთი მუჭის სიმსხო კირქვის ქვებით იყო ნაგები. ამ ეტაპზე, დროის უკმარისობის გამო, შესაძლებელი გახდა მისი მხოლოდ 1.5 მ სიგანისა და 9 მ სიგრძის (მთელი ჭრილის სიგრძეზე) მონაკვეთის გასუფთავება.

წლევანდელი გათხრითი სამუშაოების დასრულების შემდეგ, არქეოლოგიური ობიექტის შემდგომი კვლევისთვის დაუზიანებლად შენარჩუნების მიზნით, დაფიქსირებული ნაგებობათა ნაშთები, მთლიანად დაიფარა მკვრივი ქსოვილით. ხოლო ჭრილები, ასევე მთლიანად ამოივსო მიწით.

გათხრითი სამუშაოების შედეგად მოპოვებულ არტეფაქტთა შორის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს კერამიკა. განათხარი კერამიკის ფრაგმენტების ჯამი შეადგენს 7.096 ერთეულს. აქედან გამოიყო 1.903 დიაგნოსტიკური ფრაგმენტი. მათი 67 % რედუქციული წვითაა გამომწვარი, აქედან 56 % სუსტი და 46 % ძლიერი რედუქციით, ხოლო ოქსიდირებული წვით მხოლოდ 33 %.

ფორმათა შორის ძირითადად გვხვდება დერგები, ქოთნები და ფიალები; ძალზედ იშვიათია მთილიანი ჭურჭელი. სრულად ჩაიხაზა დიაგნოსტიკური ფრაგმენტები. ტექნოლოგიური ტრადიციის დასაფიქსირებლად მოხდა დიდი ნაწილის ფოტოგრაფირება.

განათხარ მასალაში, აღნიშვნის ღირსია, აგრეთვე – კაჟის არტეფაქტები, ანტიკური მინა, ბრინჯაოს რკალი, ყალიბის ფრაგმენტი, კვირისთავები და ხელსაფეხავები. ყველა მათგანი, ასევე ჩაიხაზა და დაფიქსირდა ფოტოგრაფიულად.

მოპოვებული მასალის საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „სამრეკლო“-ს ბორცვი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოფილა დასახლებული. პირველი დასახლება აქ, არაუგვიანეს გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში უნდა გაჩენილიყო და მას, მინიმუმ ანტიკურ პერიოდამდე უნდა ეარსება. მონაპოვარი მასალა, მიგვანიშნებს აგრეთვე აქაურ მოსახლეთა მოკრძალებულ სახელოსნო საქმიანობაზეც.

ნამოსახლარზე არსებული საცხოვრისის ტიპების, არქეოლოგიური ობიექტის მრავალფენიანობის და სხვა მრავალი ისტორიულ-კულტურული ხასიათის საკითხების კვლევა, მომავლის პერსპექტივად გვესახება და იმედს ვიტოვებთ, რომ ამის შესაძლებლობა, შემდგომ კალენდარულ წელს უფრო მეტად მოგვეცემა.

ნაზარლების სამლოცველო

მიმდინარე საანგარიში წლის 22 აგვისტოდან 18 სექტემბრამდე, ექსპედიციამ, შირაქის ზეგანზე, „ნაზარლების“ მთაზე (სურ. 3), კვლავ განაახლა წინა, 2018 წელს გამოვლენილი და



სურ. 3. ნაზარლების მთის თხემზე მიმდინარე სამუშაოები. ხედი დრონიდან. გიორგი კირკიტაძის აეროფოტო

დაკონსერვებული გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის სამლოცველოს არქეოლოგიური შესწავლა*** (რაზმის ხელ-ები: პროფ. ფელიქს ბლოხერი, პროფ. პაატა ბუხრაშვილი, შორენა დავითაშვილი, ზურაბ ცქვიტინიძე).

პირველყოვლისა, მოიხსნა საკონსერვაციო ყრილი ზედაფენა და ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთ კედლის უკეთ გამოსავლენად, წინა წლის ქრილი ზომით 10-7 მ-ზე, გაფართოვდა 12-10 მ-დე.

გამომდინარე ნაგებობის წრიული ფორმიდან, I მ-ის განის უღლების გამოტოვებით, ძველი ქრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, გაიჭრა დამატებით კიდე ანალოგიური ზომის (12-10 მ-ზე) სამი ქრილი, რამაც საშუალება მოგვცა სრულად გამოგვევლინა სამლოცველოს ცენტრალური საკულტო მოედნის ორმაგი კედლებითა და ხურდა ქვის გამოყენებით ნაშენი გალავნის მთლიანი კონტური (ტაბ. IV, V).

როგორც მოსალოდნელი იყო, გამომდინარე ძეგლის საკულტო ხასიათიდან, მრავალფეროვანი იყო განათხარი მასალაც, რომელიც მიწის ზედაპირიდან 20 – 40 სმ-ის სიღრმეზე ამოდიოდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამხრეთ-დასავლეთ ქრილში, ინტერიერში, გალავნის დასავლეთ კედელთან, წინა წელს გამოვლენილი განძის გასწვრივ, გადმოქცეული კედლის ნაყარს ქვემოთ აღმოჩენილი ორი თიხის ჭურჭელი, რომელთაგან ერთი, შენაწირი ბრინჯაოს ნივთებით (საკიდები, ძეწკვები, ტანისამოსის სხვადასხვა ფორმის სამშვენისები, აბჯრის ქერცლები, სამაჯურები და სხვა), ხოლო მეორე, ძირითადად სარდიონის მძივებით იყო სავსე.

ამავე ქრილის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა აგრეთვე პირში გადამტვრეული, შედგენილტარიანი კახური ტიპის მახვილი, ფართეპირიანი აფთისებრი სამართებელი (რომელიც სავარაუდოდ ზვარაკის დასაკლავად და გასატყავებლად იხმარებოდა), აღმ. კავკასიური ორპირა მინიატურული ცული, საბეჭდავები...

აღნიშნული მასალა, საგულდაგულოდ აღინერა, ჩაიხაზა და ფოტოგრაფიულად დაფიქსირდა, რის შემდგომაც იგი შესანახად გადაეცა დადოფლისწყაროს მუნიციპალური დაქვემდებარების მხარეთმცოდნეობით მუზეუმს (იხ. თან დართული მასალის ჩაბარება-მიღების აქტი.)

*** 2018 წლის ანგარიში იხ.: http://caucasology.com/view_amirani.php?id=376 და <http://caucasology.com/nazarlebi/>

მრავლად გვხვდებოდა ზოგადად ამ პერიოდის ნამოსახ-
ლარებისათვის დამახასიათებელი ორნამენტირებული თუ უსახო
კერამიკის ფრაგმენტები; ამოვიდა 3 მცირე ზომის ე.წ. მელილე-
ლური ტიპის ჭინჭილაც.

მრავლად იყო ოფსიდიანის და კაჟის ფრაგმენტებიც.

ინტერიერში, ისევე როგორც წინა წელს, საკმაო რაოდენო-
ბით დაფიქსირდა ხელსაფაფავებიც; რაც იმაზე მიგვანიშნებს,
რომ სამლოცველოში, დღესასწაულის მსვლელობისას, ადგილ-
ზევე იფქვებოდა, იზილებოდა, საბეჭდავებით იბეჭდებოდა და
ცხვებოდა სარიტუალო პურები ისევე, როგორც ეს დღემდე
გვაქვს შემორჩენილი ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულ
ტრადიციულ საკულტო ძეგლებზე მიმდინარე დღესასწაულების
მსვლელობისას.

ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა გიორგი
კირკიტაძემ, დრონით ზემოდან გადაიღო ძეგლი და მაღალმგრძნო-
ბიარე ხელსაწყოთი დააზუსტა GPS კოორდინატები.

ბოლო სამუშაო დღეს, მომავალ კალენდარულ წელს გათხ-
რების გაგრძელების მიზნით, გამოვლენილი სამლოცველოს
მთელი ტერიტორიის კვლავ გადაეფარა მკვრივი ქსოვილი და
დაიფარა მიწის თხელი ფენით.

მოპოვებული მასალის საფუძველზე, ახლა უკვე თამამად
შიძლება ითქვას, რომ მთა „ნაზარლების“ თხემზე, ჩვენს მიერ
გამოვლენილი სამლოცველო, თავისი ხასიათით ძალზე ემს-
გავსება სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ე.წ. „შილდის
სალოცველოს“ [მაისურაძე, ფანცხავა. 1984] და იგი ქრისტემდე
XII-X ს.ს-ით უნდა დათარიღდეს.

გათხრების ვრცელ ანგარიშებზე და ნაზარლების სამ-
ლოცველოზე გამოვლენილი მასალის კატალოგის გამოსაცემად
მუშაობა უკვე მიმდინარეობს.

ბიბლიოგრაფია

1. Furtwängler et al. 2006 – Andreas E. Furtwängler, Nadine Ludwig, Gundula Mehnert, Archäologischer Survey der Deutsch-Georgischen Expedition in Kachetien. In: S. Conrad, R Einicke, A.E. Furtwängler, H. Löh, A. Slawische (Hrsg.), Beiträge zur Archäologie und Geschichte des antiken Schwarzmeer- und Balkanraumes, Langenweißbach 2006, 317-361.
2. მაისურაძე, ფანცხავა. 1984 – ბ. მაისურაძე, ლ. ფანცხავა, შილდის სამლოცველო (კატალოგი), კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები VII, მეცნიერება, თბ. 1984, - 114.

დანართი

არქეოლოგიურ მონაპოვართა ჩაბარება-მიღების აქტი
(შედგენილია ორ ცალად)

2019 წლის აგვისტო-სექტემბერში მთა ნაზარლებზე ქართულ-გერმანული (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელმძღვანელი პროფესორი პაატა ბუხრაშვილი და ჰალლეს, მარტინ ლუთერის უნივერსიტეტი, ხელმძღვანელი პროფესორი ფელიქს ბლოხერი) საერთაშორისო კვლევითი პროექტის ფარგლებში მიმდინარე ექსპედიციის მიერ მოპოვებულ ბრინჯაოს მასალას, შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, გადაცემით (ჩვენგან შემდგომი შესწავლის მოთხოვნამდე) დედოფლისწყაროს მუნიციპალური დაქვემდებარების მხარეთმცოდნეობით მუზეუმს.

არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვის N 6/17/23 საფუძველზე.

წლევანდელი კამპანიის ფარგლებში მოხდა შემდეგი ბრინჯაოს ობიექტების აღმოჩენა:

1. განძი (ექსპედიციის დოკუმენტაციაში „Depotfund 2“-ის სახელწოდებით მოხსენებული) მოიცავს შემდეგ ობიექტებს:

1. ბრინჯაოს დისკო ამოზნექილი ზედაპირით - 79 ც.
2. ბრინჯაოს მრგვალი ბრტყელი ფირფიტა - 12 ც.
3. ბრინჯაოს წვეთისებური საკიდი - 9 ც.
4. ბრინჯაოს ოთხკუთხედი ფირფიტა ამოზნექილი ზედაპირით - 10 ც.
5. ბრინჯაოს ოთხკუთხა ბრტყელი ფირფიტა - 12 ც.
6. ბრინჯაოს პარაბოლასებრი ფირფიტა - 12 ც.
7. ბრინჯაოს კოჭობისფორმისებრი ფირფიტა - 19 ც.
8. ბრინჯაოს ბრონეულის ფორმისებური საკიდი - 14 ც.
9. ბრინჯაოს ცულის ფორმის ფირფიტა - 7 ც.
10. ბრინჯაოს ნახევარმთვარისებრი საკიდი - 59 ც.
11. ბრინჯაოს ნახევარმთვარისებრი საკიდი კლაკლინი ბოლოებით - 3 ც.
12. ბრინჯაოს ბრტყელი ლილი - 19 ც.
13. ბრინჯაოს ლილაკისებური ლილი - 6 ც.
14. ბრინჯაოს კონუსური ლილი - 3 ც.
15. მეტალის ლილი ჯვრისებური დეკორით - 1 ც.
16. ბრინჯაოს რგოლი - 31 ც.
17. ბრინჯაოს მილაკები - 10 ც.
18. ბრინჯაოს სპირალი - 2 ც.

19. ბრინჯაოს ჯაჭვი -2 ც. და ჯაჭვის ფრაგმენტი - 3 ც.
20. ბრინჯაოს მილაკი - 29 გრ.
21. ბრინჯაოს კვერთხის თავის ფორმის მძივი - 5 ც.
22. ბრინჯაოს მრგვალი ფირფიტა, მოკეცილი/ დამრგვალებული - II ც.
23. ბრინჯაოს მავრთული - 3 ც.
24. ბრინჯაოს ცულის ფორმის საკიდი - 2 ც.
25. ბრინჯაოს ჯაჭვი ფრინველის საკიდით - I ც.
26. ბრინჯაოს ჯაჭვი I ნახევარმთვარის და I კოჭობისებური საკიდით - I ც.
27. ბრინჯაოს ჯაჭვი I ცულის ფორმის და I კვერთხის თავის ფორმის საკიდით - I ც.
28. ბრინჯაოს ჯაჭვი წვეთის ფორმის საკიდით - I ც.

სხვა ობიექტები ამ განძიდან მოთავსებული ერთ ყუთში:

- ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურა (არწივი) – I ც.
- ბრინჯაოს კონუსის ფორმის ლილი - 2 ც.
- ბრინჯაოს სამაჯური (დახურული) – 3 ც.
- ბრინჯაოს სამაჯური (გახსნილი) – 3 ც.
- ორნამენტირებული ჭურჭელი (პასტა) – I ც.
- I კოლოფი 16 პასტის მძივით.

ზემოთ ნახსენები განძი შეიცავდა მძივებს:

- წითელი მრგვალი და ბრტყელი მძივები - 162 გრ.
- წვეთისებური მძივები - 53 გრ.
- სხვადასხვა ფორმის მძივები - 15 გრ.
- მიკრომძივები - 10 გრ.

(მძივები მოთავსდება ყუთში, სადაც სხვადასხვა ბრინჯაოს ობიექტებია განთავსებული)

2. განძი (ექსპედიციის დოკუმენტაციაში „Depotfund 3“-ის სახელწოდებით მოხსენებული) მოიცავს შემდეგ ობიექტებს:

1. ბრინჯაოს დისკო (დიდი) - 3 ც.
2. ბრინჯაოს დისკო (პატარა) – I ც.
3. ბრინჯაოს სამაჯური (დახურული) – 2 ც.
4. ბრინჯაოს პატარა სამაჯური (გახსნილი) – I ც.
5. ბრინჯაოს რგოლი - 2 ც.
6. ბრინჯაოს მრგვალი ფირფიტა - I ც.
7. ბრინჯაოს ცულის ფორმის საკიდი - I ც.
8. ბრინჯაოს ფრაგმენტირებული დიადემა - I ც.
9. ბრინჯაოს ლილი - I ც.

10. ბრინჯაოს მილაკი - 2 ც.

11. ბრინჯაოს სხივი ხვეული ბოლოთი - 1 ც.

ზემოთ ხსენებული განძი შეიცავდა დიდი რაოდენობით მძივებს:

- წითელი მრგვალი და ბრტყელი მძივები - 158 გრ.
- 5 მოზრდილი მძივი - 31 გრ.
- 4 სხვადასხვა ფორმის მძივი/საკიდი - 3 გრ.
- მიკრომძივები - 2 გრ.

(მძივები მოთავსდება ყუთში, სადაც სხვადასხვა ბრინჯაოს ობიექტებია განთავსებული.)

სხვა ბრინჯაოს ობიექტები:

1. ბრინჯაოს მახვილი (დაზიანებული) – 1 ც.
2. ბრინჯაოს იარაღი (ე.წ. საპარსი) – 1 ც.
3. ბრინჯაოს იარაღი (ე.წ. საპარსი, დაზიანებული) – 1 ც.
4. ორპირიანი ცული - 1 ც.
5. ისრისპირი - 2 ც.

ჩაბარების აქტს ვადასტურებთ ხელმოწერით:

ჰალლეს მარტინ-ლუთერის უნივერსიტეტის პროფესორი

ფელიქს ბლოხერი - ხელმოწერილია.

ილიას უნივერსიტეტისა და ჰალლეს მარტინ-ლუთერის უნივერსიტეტის დოქტორანტი

შორენა დავითაშვილი - ხელმოწერილია.

დედოფლისწყაროს მუნიციპალური დაქვემდებარების მხარეთმცოდნეობით მუზეუმის დირექტორი

ლალი გურასპაული - ხელმოწერილია.

ადგილი - დედოფლისწყარო

თარიღი - 19.09.2019

ტაბ. II

